საიდ. N79987/03

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N119-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ა. დალაქიშვილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 2015 წლის 04 სექტემბრის Nა-226 სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის „რეემტსმა სიგარეტენფაბრიკენ გმბჰ“ (Reemtsma Cigarettenfabriken GmbH) სააპელაციო საჩივარი (საიდ. N119-03/15), რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 04 აგვისტოს N1373/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „FUSION“ (საიდ. N79987/03) დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (34-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 04 აგვისტოს N1373/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი რეგისტრაციას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის „ჯონ ფლეიერ & სონს ლიმიტიდ“ (John Player & Sons Limited) (მისამართი: 21 Beckett Way, Park West, Nangor Road, Dublin 12, IE) სახელზე 34-ე კლასის მსგავსი საქონლისათვის საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა „Fusion“ (IR 738349, საერთ. რეგ. თარ: 2000-07-03). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე ნიშანი შედგება ერთი და იგივე ასოთა წყობისაგან, გამოითქმის იდენტურად და აქვთ ერთნაირი სემანტიკური მნიშვნელობა, აღნიშნული კი შესაძლებელს ხდის მომხმარებელმა ვერ განასხვავოს რომელი კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია იწარმოება განცხადებული ნიშნის ქვეშ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ სააპელაციო საჩივარზე თანდართულია, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „ჯონ ფლეიერ & სონს ლიმიტიდ“ (John Player & Sons Limited) მიერ გაცემული თანხმობის წერილი, რომლის თანახმად დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია გამოთქვამს თანხმობას საქართველოში სასაქონლო ნიშნის „FUSION“ (საიდ. N79987/03) რეგისტრაციაზე, კომპანიის

„რეემტსმა სიგარეტენფაბრიკენ გმბჰ“ (Reemtsma Cigarettenfabriken GmbH) სახელზე. ამავე თანხმობის წერილში აღნიშნულია, რომ კომპანიას „რეემტსმა სიგარეტენფაბრიკენ გმბჰ“ (Reemtsma Cigarettenfabriken GmbH) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელ კომპანიას შორის არსებობს იურიდიული კავშირი.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები  და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო საჩივარზე თანდართული, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „ჯონ  ფლეიერ & სონს ლიმიტიდ“ (John Player & Sons Limited) მიერ გაცემული თანხმობის წერილის თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია თანახმაა სასაქონლო ნიშნის „FUSION“ (საიდ. N79987/03) რეგისტრაციაზე კომპანიის „რეემტსმა სიგარეტენფაბრიკენ გმბჰ“ (Reemtsma Cigarettenfabriken GmbH) სახელზე. თანხმობის წერილში, ასევე აღნიშნულია, რომ აპელანტი კომპანია და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია წარმოადგენენ იურიდიულად დაკავშირებულ კომპანიებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დაპირისპირებული ნიშნები ეკუთვნის იურიდიულად დაკავშირებულ კომპანიებს, ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი ,,მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „რეემტსმა სიგარეტენფაბრიკენ გმბჰ“ (Reemtsma Cigarettenfabriken GmbH) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 04 აგვისტოს N1373/03 ბრძანება.

3. სასაქონლო ნიშანი „FUSION“ (საიდ. N79987/03) დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ს. დუმბაძე

ა. დალაქიშვილი